

სამაგისტრო პროექტი: „ERP სისტემის დანერგვის გამოწვევები ღვინის
მწარმოებელ ქართულ კომპანიებში“

სტუდენტები: ასლანი ქავთარაშვილი

გიორგი თხილაიშვილი

გიორგი კაზარიანი

ჯგუფი #2

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

სარჩევი

სარჩევი	1
აბრევიატურა	2
ანოტაცია	3
შესავალი	4-5
კვლევის აქტუალობა	6
პრობლემა და კონტექსტი	7-9
ლიტერატურის მიმოხილვა	10-13
კვლევის მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზები	14-15
კვლევის მეთოდოლოგია	16-18
თავი 1. საქართველოს ღვინის ბაზარი და ღვინის მწარმოებელი კომპანიები	19-23
თავი 2. ქართული ღვინის ექსპორტი (2015 – 2019 წწ.)	24-29
თავი 2.1 ქართული ღვინის ბაზრის პრობლემები	30-31
თავი 3. ERP სისტემა	32-33
თავი 3.1 მენეჯმენტი და ERP სისტემა.....	34-35
თავი 3.2 ERP სისტემის შემადგენელი ელემენტები.....	36-38
თავი 3.3 ERP სისტემის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა (ERP Softwares)	39
თავი 3.4 ERP სისტემის დანერგვის პროცესი.....	40-41
თავი 3.5 ERP სისტემის შეფასება	42
თავი 4. კვლევა	43
თავი 4.1 ინტერვიუს ანალიზი.....	44
თავი 4.2 მთავარი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	45-50
თავი 4.3 ჩვეულებრივი პროგრამა VS. ERP სისტემა.....	51
თავი 4.4 კვლევის მთავარი მიგნებები	52
დასკვნა	53
ბიბლიოგრაფია	54-55
დანართი.....	56

აბრევიატურა

ERP სისტემა - Enterprise Resource Planing - საწარმოო რესურსების დაგეგმვის სისტემა.

MRP - Material Requirements Planning Systems მატერიალური მოთხოვნების დაგეგმვის სისტემა.

APS – advanced planning and scheduling - თანამედროვე დაგეგმვა და განრიგის შედგენა.

CRM – customer relationship management - მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი.

SCM – supply chain management - მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი.

1C - რუსული პროგრამა, რომელიც პოპულარულია საქართველოში, რადგან ფასის შესაბამისად მრავალი ფუნქციის მატარებელია.

KTW – Kakhetian Traditional Winemaking - შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“- კომპანია, რომელიც ღვინის ბიზნესის ლიდერადაა მიჩნეული.

CRDBMS - computerised relational database management systems - კომპიუტერიზებული მონაცემების მართვის სისტემა.

ანოტაცია

ERP სისტემა იშიფრება, როგორც Enterprise Resource Planing - საწარმოო რესურსების დაგეგმვის სისტემა, რომლის დანერგვაც პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო 1960-იან წლებში და დღემდე ცდილობენ განავითარონ და მოარგონ სხვადასხვა სექტორში მოღვაწე კომპანიებს. საწარმოო რესურსების დაგეგმვის სისტემა (ERP) არის პროგრამული სისტემა ბიზნეს-პროცესების მმართველ მენეჯერებისთვის. იგი მოიცავს მოდელებს, რომლებიც მხარს უჭერენ შემდეგ ფუნქციურ სფეროებს: ფინანსური, ბუღალტრულ/აუდიტორული, იურიდიული, წარმოების, საოპერაციოს, მარკეტინგის, გაყიდვების, ლოჯისტიკის, ადამიანური რესურსების და ა.შ., რომელთა გაერთიანებული და სინქრონული მუშაობის მიზანია ბიზნეს-პროცესების სწორად დანახვა, ზუსტად შეფასება და სინერჯის ეფექტის მიღება.